ცნობის ფურცელი

სურათებიანი დამატება

დამატების № 98. ხუთშაბათი, 6 მარტი 1903 წ. გაზეთის № 2088.

სურათები

(შემდეგი*)

სულ ერთი წელიწადი არ იქნებოდა, რაც ივან გრიგორიჩმა მეორედ ცოლი შეირთო. პირველი ცოლი ძალიან უყვარდა, მაგრამ, საუბედუროდ, ნახევარ წელიწადზედ ხელიდან გამოეცალა იდარდა, სამსახურზედაც გული აიცრუვა და ცოტა სმასაც ხელი მიჰყო. ის იყო სამსახურიდან ითხოვდნენ, რომ მეარეველი ანგელოზი არ გამოსჩენოდა: ხელმეორედ შეირთო ცოლი, რომელიც თუმცა წლოვანებით იმაზედ მაღლა იდგა და ცოტასაც კოჭლობდა, მაგრამ სამაგიეროდ კაი ფეხი მოჰყვა. სამსახურიდან აღარ დაუთხოვნიათ, თუმცა სმას თავი არ დაანება და სამსახურსაც ძველებურად აკლდებოდა. მეორე ცოლი სულ არ უყვარდა და ხშირად უსიამოვნებაც მოსდიოდა.

— Да, ნიკალაი ნიკალაიჩ! უეცრად მოაგონდა ივან გრიგორიჩს:—Васъ съ повышеніемъ! კინაღამ არ დამავიწყდა და მაღარიჩი არ დავკარგე! აბა, როდის ვქეიფობთ?

— მე მზადა ვარ, როცა გნებავთ!—ღიმილით მიუგო ნიკალაი ნიკალაიჩმა, სერთუკი გაისწორა და ამაყად მოჰყვა ოთახში სიარულს.

— მხოლოდ ერთის პირობით, ნიკალაი ნიკალაიჩ: ყველამ თანაბრად დავლიოთ, ქეიფი თუ იყოს, გიჟური, თუ არა და რა გამოვიდა! ქეიფის შემდეგ თუ ერთი ორი დღე არა გძინავს, იმ ქეიფს განა ქეიფი ჰქვიან!—ოხუნჯობდა ივან გრიგორიჩი.

— ეგ უსამართლობა იქნება, ივან გრიგორიჩ!—უპასუხა ნიკალაი ნიკალაიჩმა და მეგობართან შედგა:—თქვენ, როგორც ცოლის პატრონი, შეგიძლიანთ ბევრი დაჰლიოთ, ხოლო ჩვენ, უცოლოებმა, იმდენი, რომ ქეიფზედ მოვიდეთ.—აქ ნიკალაი ნიკალაიჩმა ხმა დაიდაბლა, წელში მოიხარა და ჩურჩულით დასძინა: „იცით რა, ივ. გრიგორიჩ, мы, холостяки, да еще вдобавокъ старые, უფრო ვნებათა ღელვით ვცხოვრობთ, და, მაშასადამე, უნდა თავი შევინახოთ ლამაზებისთვის... ახლა ხომ მიჰხვდით? То-то! —ენისა და თითის ტკაცუნით დაათავა, ქუსლებზედ მარდად შემოტრიალდა და ულვაშებზედ ღიმილით ხელი გადისო.

— მართლა, ნიკალაი ნიკალაიჩ, ლამაზები ახსენე და მომაგონდა: იცით, ვინა ვნახე დღესა, აი ეხლა, ამ ერთის საათის წინად? აბა, გამოიცანით!—ღრეჭით დაეკითხა ივან გრიგორიჩი.

— ნასტია, დუნია, მარუსია...—დაიწყო ნიკალაი ნიკალაიჩმა თითებზედ თვლა და რატო ორი დუჟინი მეტი არ ჩამოსთვალა, მაგრამ ივან გრიგორიჩმა გააწყვეტინა:

— ვერა, ვერ მიჰხვდებით! შორსა ხართ ძალიან! მაშ მე გეტყვით, მე ვნახე... მე ვნახე... ნინა...

— ნიკოლაევნა? Да не правда! Ахъ, какая прелесть!— აღტაცებით წაეშველა ნიკალაი ნიკალაიჩი:—სადა ჰნახეთ? როდის? ნამდვილად კი ის იყო?—მიაყარა ერთმანეთზედ კითხვები.

— რის ამბობ, კაცო! ეხლაც ხომ მთვრალი არა ვარ, რომ ადამიანი ველარ ვიცნო!—თითქო წყრომის კილოთი მიუგო ივან გრიგორიჩმა და გაოცებული შეჰყურებდა მეგობრის სახის არა ჩვეულებრივ მოძრაობას. „ქოფაკს, ჰხედავ!—ჰფიქრობდა ივან გრიგორიჩი:—„შეიშალა, რა მოეჩვენა ამ მსუნაგს?“

ნიკალაი ნიკალაიჩმა აღარა ჰკითხარა, თავი ჩაღუნა და ულვაშების გრეხით ოთახში სიარული დაიწყო.

*) იხილე დამატება № 97.

ნინა მეტად ლამაზი ახალგაზრდა ყმაწვილი ქალი იყო; ერთ-ერთ დაწესებულებაში მსახურებდა და შრომით თავს ირჩენდა. ნიკალაი ნიკალაიჩი ხშირად ჰხვდებოდა გზაში ნინას და გაგიჟებით მოსწონდა. ეხლა კი, აგერ ორი კვირა მეტი იქნებოდა, ნინა აღარსად უნახავს და ამიტომაც იყო, რომ აღტაცებით მიეგება ივან გრიგორიჩის ნაამბობს. ნიკალაი ნიკალაიჩი ბევრსა სცდილობდა გაეცნო ნინა, მაგრამ შემთხვევა ხელს არ უწყობდ. იმისი ერთი კაი მეგობარი, ზახარი ზახარიჩი პირადად იცნობდა ნინას, მაგრამ ნიკალაი ნიკალაიჩი უზრდელობად სთვლიდა ამ გზით თავის აზრის მიხწევას. იმისთვის ეს გზა რომ გერჩიათ, აი რას გიპასუხებდათ: „ოჰ, როგორ შეიძლება! მოუხერხებელია და არც პატიოსნებაა სხვისი გრძნობები და საიდუმლოება შეიტყო“ და სხვა ამისთანებს. სამაგიეროდ სცდილობდა ისე მოეწყო საქმე, რომ ზახარი ზახარიჩს არც კი რამ გაეგო, ნინა თავისით გაეცნო, თავისკენ მიეზიდნა და გამარჯვებულს ბოლოს შური ეძია ზახარი ზახარიჩისთვის. ნიკალაი ნიკალაიჩი ამ ფიქრებში იყო გართული.

ივან გრიგორიჩი კოხტად მოწყობილ საწერ სტოლზედ დაყუდებულიყო და იმის მოწყობილების სინჯვა-ჩხრეკაში გართულიყო. სტოლზე ხან ერთ საგანს წამოავლებდა ხელს, ხან მეორეს; გადაატრიალ-გადმოატრიალებდა, ეჭვის თვალით გაჰხედავდა; ცხვირის ნესტოებს შეიბერავდა, თითქოს სუნით უნდა გაიგოს საგნის ნივთიერება და იმისი დანიშნულებაო, უსიამოვნოდ შეათამაშებდა სახეს და ისევ უკან დასდებდა. ფარფორზე ნახატმა სურათმა მიიქცია იმისი ყურადღება. წარბშეხრილმა დიდხანს უყურა, ბოლოს წამოდგა ფეხზე და მიუბრუნდა ნიკალაი ნიკალაიჩს:

— ნიკალაი ნიკალაიჩ, სულ ნინას არა ჰგავს ეს სურათი?

ნიკალაი ნიკალაიჩმა ფიქრი შესწყვიტა, უცბად შესდგა, სტოლთან მივიდა და სურათს ჩააკვირდა.

— Но, положимъ!—განგებ გაიკვირა და ისევ უკან გაბრუნდა.—ნინა არც თუ ასეთი ლამაზია!—განაგრძო ნიკალაი ნიკალაიჩმა.—მხოლოდ ზახარი ზახარიჩს ჰგონია, რომ ნინასთანა აღარავინაა ქვეყანაზე. ეშეც კია, სიყვარული ბრმაა! რა გგონიათ, ივან გრიგორიჩ, ის ისეთი ოხერია, კიდევაც შეირთავს. სასაცილო ამბავი კი იქნება, ჰა, ჰა, ჰა!—დააბოლოვა, უგემურად გადიხარხარა და პაპიროზს მოუკიდა.

— შეირთავს და შეირთოს, ჩვენ რა, ჯანაბას იმის თავი! კაი ბედსაც კი შეეყრება... სილამაზეს რომ უყურებს, ახლა სხვაც იკითხოს! ქალაქში ნომრები აღარ გადარჩა თურმე!..— მოჰყვა ჭორებს ივან გრიგორიჩი

— Но, но, ივან გრიგორიჩ! ახლა კი ნუ გადააჭარბებთ! ეგ სულ ტყუილებია. მაგრამ მე იმაზე მომდის ჯავრი, რომ ზახარი ზახარიჩი მეტის-მეტად თავის ნათქვამია და, სწორე გითხრათ, მებრალება: რაც უნდა იყოს, მეგობარი კაცია, დაიღუპება! თორემ, ნეტა არ იქნება, შეირთოს! უფრო კარგი, შორს აღარ წავა!—ღიმილით დააბოლოვა, მხრებზე ხელი გადურტყა ივან გრიგორიჩს და უბიდან საათი ამოიღო.

— ოჰო, მეშვიდე საათი დაწყებულა! დროა, დაგვიგვიანდება ზახარი ზახარიჩთან, აბა წავიდეთ!

III

— შვილო, შემოგიტანო ჩაი თუ ამხანაგებს დაუცდი?— ეკითხებოდა ზახარი ზახარიჩს მოხუცებული ბებია და თითონაც არ იცოდა რად, ოდნავ იღიმებოდა.

ზახარი ზახარიჩი სკამზე იჯდა, სტოლზე მრავლად გაფენტა ერნთა ამშლელი ფოტოგრაფიული სურათები და თითო თითოდ სინჯავდა.

Рыдает вьюга!—Сур. Репинъ

— რაო, ბები?—ცხვირში უპასუხა ზახარ ზახარიჩმა, რამდენსმე სურათს წამოაგლო ხელი და ბებიას მიუბრუნდა:—აი, ბები, რომ გამიკრიჭე ხოლმე საქმეს, ცოლი შერითე, ცოლი შერითეო, ესეც, ამა, შენს სურეოლს ვასრულ ბ, ერთის მაგივრად, შეჭხედე, რამდენი ენდა შევირთო! ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი! ქმარა, თუ კიდევ მოუმატო?—ეხუმრებოდა ზახარი ზახარიჩი მოხუცს.—მაშ, თუ კაცმა შერითოს ცოლი, შერითოს ბლოდმდე, თუ არა და ერთი რასა ქმარა!

მოხუცს ისე არა უყვარდა-რა ქეფყანაზე, როგორც თავის შვილიშვილის ცოლის შერთვაზე ლაპარაკი. ბედნიერი იყო მაშინ! ბებიას სიხარულით სახე გაუბრწყინდა, ზახარი ზახარიჩს ბეკეშეზი ხელი გადუსო და ალერსისანდ შესცინა თვალებში.

— შვილო, გიჟი ნუ ხარ, გენაცვალოს ბებია! როგორც იმ თავით დაწყებული, შენც ისე მოიქეცი... ამოარჩიე ერთი კ-ხტა ქალი, კაი დედ-მამის შვილი, კაი მზითვიანი, ლამაზი, შვირთე და დაბინავდი, შვილო! ვინ დაგიჭერს შენ ქალსა! აი ენტა არ იქნება...—აქ ბებიამ ალარ დაათავა, ცრემლმორეული თვალები მაღლა ასწია, გულხელი დაიკრიფა და მთელს სხეულით გაინძრა-გამოინძრა.

— მერე, ქრისტიანები რომ არ არიან, ბები? აი ეს ურიაა, ეს რუსი, ეს სომეხი, ეს ლეზენკი!—თითო თითოდ სთვლიდა სურათებს და ერთად ალაგებდა ზახარი ზახარიჩი.

— ჰე, შვილო, თუნდა თათრის ქალი იყოს, ოღონდ კი ერთი ვინმე შემოიყვანე სახლში!—უიმედოდ უპასუხებდა ბებია და თან ცრემლ მორეულ თვალებს ისრესავდა.

— აბა, ბები, კარგად გასინჯე! მე აი ეს უფრო მომწონს, შენ რას იტყვი, მოგწონს თუ არა?—დაეკითხა ზახარი ზახარიჩი და თან ერთი სამარცხვინო სურათი თვალებთან ახლო მიუტანა ღიმილით.

— ჩემი თვალები ვეღარას არჩევს, შვილო, შერითე, თუ მოგწონს, ვინ არის შენი დამშლელი!—უპასუხებდა ბებია და სურათის გარკვევას ცდილობდა.

ამა, მოხუცი რას წარმოიდგენდა, თუ რა სურათს უჭერებდა ზახარი ზახარიჩი!

— მერე, არ გეშინიან, ბები, რომ სახლიდან გაგაგდოს პატარძალმა?

— ნეტა შენ ცოლი შერითო, შვილო, და ჯანაბას ჩემი თავი! მე თუნდა სამზარეულოში ჩემთვის დავეგდები. აი, შვილო, რა ურიგო ჰქნა პეტრემ! შენზედ რამდენი ხნით ახალგაზდა არის, მაგრამ, დახე, როგორ ცოლშვილით ხარობს! ჰო, შვილო, შერითე ცოლი, აი იმ დღესაც ერთი...

„მოჰკვეთა ეხლო!“ გაიფიქრა ზახარი ზახარიჩმა და სიტყვა გაწყვეტინა:

— წამალს კიდევ სვამ, ბები, თუ ალარა?

— ცოტასა... არა მაშავს რა, თუ ღმერთს უნდა, ისედაც კარგად ვიქნები, ოღონდ შენ იყავი, შვილო, კარგადა!..

— იცი რა, ბები! შენ წამალი დალიე, ღონეზე მოდი, ცოტა მარხვაც სჯაბე, არა უშავს რა! თორემ ამა პატარძალი რას იტყვის, ეგრე გალასლასებულს რომ ენახავს! სხვა არა იყოს რა, შეეშინდება, შიმშილით მეც არ მომკლონო და გამექცევა. ამა რას იტყვიან მაშინ მეზობლები?..

— მარხვაზე კი ღმერთს ნუ სცოდავ, შვილო, და თუნდა დარიშხანს დალევ, ოღონდ შენ ცოლი შერითე! ჰო, შვილო, ჰო!—აქ ბებია ორივე ხელით დაეყუდა შვილიშვილს მხრებზე და ტკბილად შეეკითხა:—მაძღეს, შვილო, სიტყვას, რომ ცოლს შერითავ?

— კარგი, კარგი!—ამშვიდებდა ზახარი ზახარიჩი და რომ ბაასი შეეცვალა, ბებიის პირველ კითხვას დაუბრუნდა:—ჩაიო, ბები? ჯერ იყოს, ამხანაგებს დაუცდი!..

ბებიამ ხმა ალარ გასცა, ძმიმედ მიტრიალდა, ნელის ნაბიჯით დაღონებული გავიდა მეორე ოთახში და კარი ჩიხუტა. აქ ის ხელებ-აპყრობილი ხატის წინ იდგა და ღმერთს ევედრებოდა შვილიშვილის ბედ-ყისმათზე.

ზახარი ზახარიჩი ღონიერი და კაი წამოსადეგი, ახალგაზრდობას ცოტა გადაცილებული, ლამაზი ვაჟკაცი იყო; ხავერდის მსგავსი დიდი თვალები ჰქონდა და სისხლით სავსე ლოყები. სწავლის დამთავრების შემდეგ, სანამ სამსახურს დაიწყებდა, დიდი სურვილი ჰქონდა სახლვარ-გარედ სწავლის განგრძობისა და ტულ-მოდგინედ მეცადინეობდა. სამსახურში ეს სურვილი დაეკარგა, თუმცა სწავლის ხალისი დიდხანს შერჩა. იყო ხოლმე დრო, როდესაც მთელის კვირით გარედ არ გავიდოდა და საღამოობს სხვა-და-სხვა სამეცნიერო წიგნების კითხვაში ატარებდა. პირველში ამხანაგები ისე რიგად ხელს არ უშლიდნენ, მაგრამ შემდეგში ნელ-ნელა შეეჩვივნენ და იქამდის მივიდნენ, რომ ხელიდან წიგნს გამოჰგლეჯდნენ ხოლმე: Не думай, братъ, генерала не получишь! და ძალის-ძალობით გარედ გიტაცებდნენ ხოლმე. ამხანაგების ამგვარ ქცევაზე პირველად ჯავრიც მოსდიოდა, შემდეგში თან-და-თან შეეჩვია და დღეს ზახარი ზახარიჩი ქეიფისა და ქალების უკან დევნაში ალარავის ჩამოუარჩება. ბაბეოსა და ბილიარდის თამაშიც ისწავლა და ამ გვარად შეიქნა ერთი უკეთესი და პატივსაცემი მეგობარი ამხანაგთა შორის.

საკვირველად გაუგებარის ხასიათის პატრონი იყო ზახარი ზახარიჩი. ერთ შემთხვევაში კერპი და თავის ნათქვამი, მეორეში იმას ჩაიდენდა, რასაც თვითვე ჰგმობდა. მოუელიდა, მაგალითად, რადაც და რამდენისამე თვით ალკოჰალადა ღვინის სმას, ითმოთ კი არა, რომ ლოთობისა ეშინოდა,—ღვინოს საზოგადოდ არ ეწყობოდა,—არამედ ისე, თვითონაც არ იცოდა რისთვის. ამასთან ვერ წარმოიდგენდით, რა წუხნდად ასრულებდა თავის სიტყვას! რაც უნდა ძკირფასი სტუმარი სწვეოდა, ან თვითონ ყოფილიყო სადმე, ვერას გზით ვერ დაალევინებდით ერთ წვეთსაც. ხან კიდევ შეუდგებოდა რომელისამე ახალ ენის, ან მეცნიერების ერთ ერთ დარგის შესწავლას და მაშინ იმას გარედ ეგრე რიგად ვეღარ ნახავდით! დიდის ნიჭის პატრონი მალე მიაღწევდა ხოლმე თავის სურვილს, მაგრამ ამრის ვანხორციელება და საგნის მატოვება ერთი იყო ხოლმე. „ალბონი“, როგორც თითონ დასცი-

16

ნოდა თავის თავს, შეიცვლებოდა ქალებსა, ქეიფსა და ქალაღლდზედ... გაივლიდა დრო, ახლა სხვა ენას ან მეცნიერებას მოჰკიდებდა ხელსა და აქაც იმითვე დაბოლოვებდა, რითაც პირველში. ძალიერის ლოდიკის პატრონს და დაკვირვების მოყვარეს ზედ მიწეკნით ჰქონდა შესწავლილი თავისი მეგობრები და ამხანაგები. კარგად ესმოდა იმათი სიტყვისა თუ საქმის ყოველი მნიშვნელობა. დაბალი, წვრილი ინტერესები, გაიძვერობა, მაბეზრობა, პირმოთნეობა და სხვა ამისთანები, რომლითაც მდიდრები იყენენ იმისი ამხანაგები და მეგობრები,— ზ. ზახარიის ტანში ერუანტელს ჰვრიდა და საშინლად სძულდა ყველანი.

ეს იყო მიზეზი თუ სხვა, იმას მთელი კაცობრიობა ეჯავრებოდა. ერთი ადამიანი რა არის, ერთი ადამიანი არ მოსწონდა. იმის თვალში ყველანი ან ქონდრის კაცები იყვნენ, ან კიდევ ხეზედ ჩამოსახრჩობნი. ამისთანა შეხედულობის პატრონი იმავე დროს ვერ შორდებოდა თავის წრეს და ვერა სწავლეტდა იმასთან კავშირს; პირ იქით, იგი განუშორებელ და ახლო მეგობრად ითვლებოდა და არა თუ აზრად არ მოსდიოდა გაცნობა სხვა რომელისამე წრისა, ითამედ ყოველ საზოგადოებას ისე უფრთხოდა, როგორც გადამდებ სენს. სწორედ იმაზედ იყო ნათქვამი: შეჩვეული ეპირი სჯობიან შეუჩეველ ლხინსაო. სამსახურს ხომ ვერ ეწყობოდა და ვერა, რადგან ვერ აკმაყოფილებდა იმის ფართო გონების მოთხოვნილებას; მაგრამ არა სცდილობდა თავი დაეხწია, თუმცა ცოტაოდენი შეძლება ხელსაც უმართავდა და იმიტი იმშკიდებდა გულს, რომ ვითომ ბებია ეცოდებოდა.

ზახარი ზახარიჩი ხშირად ჩაფიკრდებოდა ხოლმე თავის ამ ორ აზროვან ცხოვრებაზედ, ბოდმით გული ფსივდებოდა, ალეწილი წამოწვებოდა ტახტზედ და ვი ინის ბრალი, ვინც მაშინ ხელში ჩაუვარდებოდა! ალბად ამიტომაც იყო, რომ ერთს შეხედულობით შუახნის კაცად წარმოგიდგებოდათ, ისეთ ხმისა—ამავე დროს მონური მოსამსახურე იყო ერთისაც და მეორისაც. ქირიფით ეჯავრებოდა, მაგალითად, დარბაზობა და უნდა გენებათ, რა ბუტუტუნითა და გინებით ასრულებდა ამაგს; მაგრამ რომ არც ერთს დარბაზობას არ გამოსტოვებდა— ესეც ცხადი იყო. ერთის სიტყვით, ზახარი ზახარიჩის ცხოვრება ხანგრძლივი სულის კვეთება იყო, წინააღმდეგობაზედ აშენებული ჩუმად და შეუმჩნევლად იტანჯებოდა მხოლოდ თითონ და არ იცოდა, რა ექნა. გადიოდა, დრო. სულის კაი თვისებები ნელნელა, შეუმჩნეველად ჰქრებოდა, ნიუს თანდათან ხავსი ეკიდებოდა, გრძნობა ჩლუნგდებოდა, ზახარი ზახარიჩიც ღლიდი დღე ურიგდებოდა ამხანაგებს და სულიერად უერთდებოდა იმათ.

ყმაწვილობიდან იმის გულს ჯერ სიყვარული არ შეეხებოდა. მხოლოდ ეხლა, ამ ერთის თუ ორის თვის წინად ერთ ნაცნობის სახლში შემთხვევით გაიცნო ნინა, მეტად მოეწონა და გულში ჩაუვარდა. ბებიასთან ბაასმა ზახარი ზახარიჩს ნინა მოაგონა. ფოტოგრაფიული სურათები სტოლის ერთ კუთხეში მიეყარა და ნიდაყვზედ დაყრდობილი ნინაზედ ოცნებობდა: „დია, დია, კარგი და ეგრე! ლამაზი, ქკეიანი, კეთილი... მაგრამ ეჰ! —შესწყვეტა უცბად და სკამზედ გადაესვენა.—მოდი შეერთე ცოლი, როდესაც შენი სიცოცხლე ბეწვზედ ჰკიდია. სულ უბრალო რამე და მშვიდობით სამსახურო! წადი და გაეცი ცოლშვილს პასუხი!" — სევდიანად დაბოლოვა ზახარი ზახარიჩა, სკამიდან წამოდგა და ჩაფიკრებული ოთახში სიარულს მოჰკეა.

ზარის წკარუნი გაისმა.

„აი, ის ოხრებიც"! წამოიძახა უსიამოვნოდ ზახარი ზახარიჩმა და ფიქრისაგან გამოირკვა.

— ა, ა, ა! უფალს თავჯდომარეს! — შეშბღავლეს შემოსვლის უმალ მეგობრებმა და ერთმანეთს ხელი გაუწოდეს.

უცნაური სანახაგი.—სურათი ჟანვერრისა.

შთაბეჭდილებას ახდენდა იმისი დინჯი, დარბაისელი, გამომეტყველი სახე და ნამეტნავად უდროოდ თითქმის სულ მთლად გათეთრებული თმა. ბუნებით ჩალისა და კეთილის გულის პატრონი, ზოგიერთ შემთხვევაში საკვირველ გულქვაობას გამოიჩენდა ხოლმე. საშინლად უყვარდა წინააღმდეგობა. საკირო იყო ერთი გეთქვათ, რომ იმას მეორე დაემტკიცებინა ან ჩაედინა, თითქო ამ წინააღმდეგობაში ჰპოვებდა სულის სიმშვიდეს, თითქო ამით პროტესტს უცხადებდა ცხოვრების უფარგისობას. საშინელი მტერი ყოველ ფორმალიზმისა და საზოგადოების

— რატომ ეგრე დაიგვიანეთ, ყმაწვილებო? სადა ხართ აქამდის?—ეკითხებოდა ზახარი ზახარიჩი.

— გვაპატიეთ, ბ-ნო თავჯდომარეგ! ვეცდებით შემდეგში გავასწოროთ ჩვენნი შეცდომა! —გაეხუმრა ივან გრიგორიჩი, ჯუდი ტახტზედ გადისროლა და ულავშების გრეხით სკამი სტოლთან მიითრია. ნიკალი ნიკალიჩმა ხელსახოცი ამოიღო, ულავშები შეიწმინდა და სკამზედ ჩამოჯდა. ზახარი ზახარიჩმა თავმჯდომარის ადგილი დაიკირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკაჟებულ ლამფის შუქი ცისფრად ეცემოდა სტოლს, რომელიც უშველებელ რამედ გადაეპიმულიყო ერთ ფანჯარასთან და, კლი